საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტრო

MINISTRY OF ECONOMY
AND SUSTAINABLE
DEVELOPMENT OF GEORGIA

სსიპ საზღვაო ტრანსპორტის
სააგენტო

LEPL MARITIME TRANSPORT
AGENCY

KA020197131119818

სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო საქართველო, ქ.ბათუმი, 6000, ნინოშვილი ქუჩა N23. ტელ.:+995 422 27 49 25/26
23 Ninoshvili Str., 6000, Batumi, Georgia. Tel.:+995 422 27 49 25/26

№ 1/CIRC/FSI **22 / თებერვალი / 2018 წ.**

საქართველოს დროშის ქვეშ მცურავი
გემების გემთმფლობელებს
ყველა დაინტერესებულ მხარეს

გაცნობებთ, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2017 წლის 27 დეკემბერის ბრძანება №04 შესაბამისად დამტკიცდა „გემების უსაფრთხო მართვისა და დაბინძურების თავიდან აცილების წესები“, რომლის მიზანია საქართველოს დროშის ქვეშ მცურავი გემების და საქართველოს ნავსადგურებში შემსვლელი გემების უსაფრთხო მართვის სტანდარტების ხელშეწყობა და გემებიდან ზღვის გარემოს დაბინძურების პრევენცია, საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის „გემების უსაფრთხო მართვისა და დაბინძურების თავიდან აცილების შესახებ“ საერთაშორისო კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად.

ამ წესების მოქმედება ვრცელდება შემდეგი ტიპის გემებზე და კომპანიებზე, რომლებიც მართავენ მათ:

ა) საქართველოს დროშის ქვეშ მცურავ საერთაშორისო ნაოსნობაში ჩართულ სატვირთო და სამგზავრო გემებზე, მათ შორის RO-RO და RO-PAX სამგზავრო ბორანებზე;

ბ) საქართველოს ნავსადგურებში შემსვლელი და ნავსადგურებიდან გამსვლელი გემები, რომლებიც რეგულარულ საზღვაო მომსახურებას ეწევიან, განურჩევლად მათი დროშისა;

გ) 500 ტონაზე მეტ სატვირთო გემებზე და გადასატანი ოფშორული საბურღ ერთეულებზე;

გთხოვთ გაითვალისწინოთ და მხედველობაში მიიღოთ, რომ ამავე ბრძანების მუხლი 2-ის შესაბამისად *ექსკლუზიურად შიდა ნაოსნობაში ჩართული სატვირთო გემებისთვის ზემოაღნიშნული ბრძანება ამოქმედდება 2019 წლის პირველი იანვრიდან.* შესაბამისად ყველა კომპანიამ, რომელზეც ვრცელდება ამ ბრძანების მოთხოვნები, უნდა უზრუნველყოს უსაფრთხოების მართვის სისტემის განვითარება, დანერგვა და მხარდაჭერა.

მოგიწოდებთ გამოიჩნოთ ყურადღება, მიიღოთ შესაბამისი ზომები რათა თავიდან აიცილოთ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს
დირექტორი

მამუკა ახალაძე